

შპს მედპოლი
2021 წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

<i>2021 და 2020 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება</i>	3
<i>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</i>	4
<i>2021 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება</i>	5
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	7
4. შემოსავალი	7
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	7
6. ფინანსური ხარჯი	7
7. ძირითადი საშუალებები	8
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8
10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8
11. გადასახადები	9
12. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	9
13. დაკავშირებული მხარეები	11
14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები	11
(ა) შემოსავალი	11
(ბ) სხვა ხარჯები	11
(გ) ძირითადი საშუალებები	12
(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

2021 და 2020 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	4	7,395,115	7,013,027
თვითღირებულება		(4,137,647)	(2,740,540)
საერთო მოგება		3,257,468	4,272,487
სხვა შემოსავლები		28,508	173,115
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	5	(2,999,632)	(2,570,169)
მიწოდების დანახარჯები		(40,635)	(34,299)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		1,096	(39,439)
სხვა ხარჯები		(28,057)	(2,200)
საოპერაციო მოგება		218,747	1,799,494
ფინანსური შემოსავალი		206,042	65,902
ფინანსური ხარჯი	6	(444,327)	(145,283)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(238,285)	(79,381)
მიმდინარე პერიოდის ზარალი		(19,538)	1,720,113
მოგების გადასახადი		(310,313)	(117,394)
მიმდინარე პერიოდის ზარალი		(329,851)	1,602,719

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მოგება ან ზარალისა და სხვა შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	100,888	177,921
არამატერიალური აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		100,888	177,921
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	825,072	1,424,307
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	11,748	58,194
მარაგები		777,843	1,453,973
საგადასახადო აქტივი			24,582
სულ მიმდინარე აქტივები		1,614,663	2,961,056
სულ აქტივები		1,715,551	3,138,977
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
გაუნაწილებელი მოგება		635,523	2,759,769
სულ საკუთარი კაპიტალი		635,523	2,759,769
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	452,281	27,461
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		35,859	
გადასახდელი პროცენტი			
მოკლევადიანი სესხები		591,888	351,748
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,080,027	379,208
სულ ვალდებულებები		1,715,551	3,138,977

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12.

2021 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	0	0	2,759,769	2,759,769
წმინდა მოგება			(329 851)	(329 851)
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	0	0		
მიღებული დივიდენდები				
გაცემული დივიდენდები	0	0	(1,794,395)	(1,794,395)
2021 წლის 31 დეკემბერი	0	0	635,522	635,522

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე

7-12

2021 და 2020 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	4	7,395,115	7,013,027
თვითღირებულება		(4,137,647)	(2,740,540)
საერთო მოგება		3,257,468	4,272,487
სხვა შემოსავლები		28,508	173,115
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	5	(2,999,632)	(2,570,169)
მიწოდების დანახარჯები		(40,635)	(34,299)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		1,096	(39,439)
სხვა ხარჯები		(28,057)	(2,200)
საოპერაციო მოგება		218,747	1,799,494
ფინანსური შემოსავალი		206,042	65,902
ფინანსური ხარჯი	6	(444,327)	(145,283)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(238,285)	(79,381)
მიმდინარე პერიოდის ზარალი		(19,538)	1,720,113
მოგების გადასახადი		(310,313)	(117,394)
მიმდინარე პერიოდის ზარალი		(329,851)	1,602,719

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:



მთავარი ბუღალტერი

მოგება ან ზარალისა და სხვა შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	100,888	177,921
არამატერიალური აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		100,888	177,921
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	825,072	1,424,307
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	11,748	58,194
მარაგები		777,843	1,453,973
საგადასახადო აქტივი			24,582
სულ მიმდინარე აქტივები		1,614,663	2,961,056
სულ აქტივები		1,715,551	3,138,977
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
გაუნაწილებელი მოგება		635,523	2,759,769
სულ საკუთარი კაპიტალი		635,523	2,759,769
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	452,281	27,461
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		35,859	
გადასახდელი პროცენტი			
მოკლევადიანი სესხები		591,888	351,748
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,080,027	379,208
სულ ვალდებულებები		1,715,551	3,138,977

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს.

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12.

2021 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	0	0	2,759,769	2,759,769
წმინდა მოგება			(329 851)	(329 851)
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	0	0		
მიღებული დივიდენდები				
გაცემული დივიდენდები	0	0	(1,794,395)	(1,794,395)
2021 წლის 31 დეკემბერი	0	0	635,522	635,522

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულია და იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-12

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მედპოლი რეგისტრირებული არის “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომლიც დარეგისტრირდა 2017 წლის 23 ოქტომბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რ-ნი რაფაელ აგლადის ქ. N87 კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 402066447;

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით. კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

დამფუძნებლები	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
დიანა ზურაბაშვილი	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. შემოსავალი

ლარი	2021	2020
შემოსავალი რეალიზიციიდან	4,384,831	4,709,436
შემოსავალი რეალიზიციიდან - ექსპორტი	3,010,284	2,303,591
სულ შემოსავალი	7,395,115	7,013,027

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	2021	2020
შრომის ანაზღაურება	2,444,651	2,290,568
იჯარის ხარჯი	135,888	91,230
სატელეკომუნიკაციო ხარჯი	10,071	4,662
რეკლამის ხარჯი	64,245	2,866
საკონსულტაციო ხარჯი	1,943	1,000
სხვა საერთო ხარჯები	342,835	179,844
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2,999,632	2,570,169

6. ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური ხარჯები შედგება მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტისაგან, კრედიტ ნოტისაგან და ვადაგასული საქონლის ჩამოწერისაგან.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	წვრილმანი აღჭურვილობა	სულ
31 დეკემბერი 2020	65,078	176,415	736	242,229
შემოსვლა	36,770	178,801	316	215,887
გადაფასება				-
გასვლა	(50,876)	(133,256)	(244)	(184,376)
31 დეკემბერი 2021	50,972	221,960	808	273,740
ცვეთა და გაუფასურება				
დაგროვილი ცვეთა	(32,029)	(32,280)	-	(64,309)
პერიოდის ცვეთა	(19,819)	(128,913)	(300)	(149,032)
გასვლა	18,279	22,209		40,488
31 დეკემბერი 2021	(33,569)	(138,984)	(300)	(172,853)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	33,049	144,135	736	177,921
31 დეკემბერი 2021	17,403	82,977	508	100,888

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	682,281	1,414,140
გადახდილი ავანსები	890	10,168
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	141,901	
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	825,072	1,424,307

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2021	2020
მოწ. და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	452,281	27,461
მიღებული ავანსები		
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	452,281	27,461

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა 11,748 ლარის ფულადი სახსრები, მათ შორის: საბანკო ანგარიშებზე 7,827 ლარი, ხოლო სალაროში 3,921 ლარი, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა 58,194 ლარის ფულადი სახსრები, მათ

შორის: საბანკო ანგარიშებზე 14,330 ლარი, ხოლო სალაროში 43,864 ლარი.

11. გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება ხდება ერთიან სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულება შეადგენდა 35,859 ლარს.

12. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, რეალური სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადახდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით გამოყენების მიზეზით, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 11(ბ) (ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 11(ბ) (iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 11(ბ) (iv)).

(ი) რისკების მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე. მათ მოვალეობაში აგრეთვე შედის კომპანიის რისკების მენეჯმენტის პოლიტიკის შემუშავება და მონიტორინგი და კომპანიის საქმიანობის შედეგების დამფუძნებლისთვის წარდგენა. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს კომპანიის წინაშე მდგარი რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და კომპანიის საქმიანობაში. კომპანია მრავალმხრივი ტრენინგების, მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს

განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი როლი და ვალდებულებები. დამფუძნებელი ზედამხედველობას უწევს, თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს და განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. კომპანიისთვის საკრედიტო რისკი საკმაოდ მაღალია. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის ბალანსზე არსებული შემდეგი ნაშთებიდან: კომპანიის მოთხოვნები, შეზღუდული ფულადი ნაშთები და ბანკში არსებული ანგარიშები.

მოთხოვნები ფულადი სახსრების მომწოდებლებისგან

კომპანიის პოლიტიკის თანახმად, კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეკუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია უზრუნველყოფს საკმარის და ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს, მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯების, დასაფარავად, თუმცა არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისთვის კომპანია იყენებს ხანდაზმულობის ანალიზს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე შემოსავლების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მედიკამენტების შეძენა რეალიზაცია. კომპანია საქონლის შეძენას ახორციელებს იმპორტის გზით, თუმცა საქონლის ფასების ცვალებადობა საერთაშორისო ბაზარზე და ქვეყანაში არსებული არამყარი სავალუტო კურსი გავლენას ახდენს კომპანიაზე. აქედან გამომდინარე სავალუტო რისკი არსებითია კომპანიისთვის. სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებები უარყოფითად აისახება კომპანიის გადასახდელ ვალდებულებებზე.

13. დაკავშირებული მხარეები

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(ი) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

ლარი	2021 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი - დივიდენდი დამფუძნებელზე	1,758,418
ხელფასები და სხვა სარგებელი - დირექტორის ხელფასი	910,524
სულ	2,668,942

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) შემოსავალი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით.

ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, ამონაგების ფორმირება ხდება გაყიდული საქონლის მიხედვით ყოველი დასრულებული თვის მონაცემებზე დაყრდნობით.

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან

დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.